შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.991)

4-11 სექტემბერი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ნარცისიზმი ქართულ პოლიტიკაში



საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდი აქტიურ ფაზაშია. პოლიტიკური პარტიები მარათონში ჩაებნენ და პირველობისათვის იბრძვიან. მათ შორის არიან როგორც ძველი, ასევე ახალი პოლიტიკური გაერთიანებებიც, რომელთაც პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვადასხვა სიძლიერის მოთამაშეები გამოჰყავთ. ამის მიუხედავად, ყველა დარწმუნებულია, რომ არჩევნებში მოწინააღმდეგეს გეჭებზე დადებს და „სუფთა“ გამარჯვებას მოიპოვებს.

საქართველოში ხომ ყველაზე პოპულარული სპორტი ქართული ჭიდაობაა. რინგი კი, რინგია, რა მნიშვნელობა აქვს, პოლიტიკურია ის თუ საჭიდაო მოედანი...

საარჩევნო ორთაბრძოლა თუ მრავალთა ბრძოლა ხშირად წესებს არ ემორჩილება და ჩარჩოებს მიღმა გადის. ან რა გასაკვირია, როცა თითოეულ პარტიას მიაჩნია, რომ ის ომშია და ბრძოლის ველიდან დამარცხებული არ უნდა დაბრუნდეს. სულისკვეთებაც ასეთია: ან გამარჯვება, ან სიკვდილი! თუმცა, მეორე პოსტულატი ყოვლად გამორიცხულია და უადგილო. თითოეულ პარტიასა თუ პოლიტიკურ სუბიექტს „მყარად“ სჯერა უალტერნატივობისა და არჩევნებში გამარჯვების მოპოვების. ამის დასამტკიცებლად პოლიტიკური გაერთიანებები შიდა სოციოლოგიურ გამოკითხვებს ატარებენ და საზოგადოებას რეიტინგებს აცნობენ. არავინ იცის, ვინ როგორ ატარებს გამოკითხვებს ან რის მიხედვით ყოფენ საზოგადოებას, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა მათგანი დამკვეთის გამარჯვების უპირობო მაცნეა!

ჰოდა, ქართულ , პირველობისკენ მებრძოლ ბუნებას მეტი წამქეზებელი რაღად სჭირდება? ფაქტი ჯიუტიაა- ამბობენ და, ამჯერად დოკუმენტებით გამყარებულ დომინანტობას სჯერათ, რომ არჩევნების შედეგიც დაუდასტურებს.

თუმცა მანამდე, ომია გადასახდელი, პოლიტიკური ომი, რომლის მოგების მეთოდებსაც და იარაღსაც პარტიები თავად ადგენენ. ამიტომაცაა, რომ წინასაარჩევნო პერიოდი სავსეა ტელეეკრანებიდან თუ საგაზეთო ფურცლებიდან წამოსული ურთიერთშემლახველი ბრალდებებითა და შეურაცხმყოფელი ფრაზეოლოგიით. სიძულვილის ენა და კამერებთან დაწყებული კამათი ხშირად გარე სივრცეში ინაცვლებს და... ჭიდაობის ილეთების დემონსტრირების მომსწრენიც ვხდებით.

რას ვიზამთ, ჭიდაობა ქართული სპორტია!

„თუკი ორ ადამიანს ერთი და იგივე რამ სურს, შეუძლებელია, რომ ორივემ ამით ისარგებლოს და ისინი მტრები ხდებიან.“-ამბობს თომას ჰობსი, ინგლისელი ფილოსოფოსი.

რა ქნან ამდენმა პარტიებმა საქართველოში, ხომ ხედავთ, „ლევიათანის“ ავტორმაც კი თქვა, რომ ერთი მიზნისთვის ბრძოლას მტრობა მოაქვსო.

ეს გასაგებია, მაგრამ სკამებისთვის ბრძოლაში სურვილს ერთადერთობისა და განუმეორებლობის ხიბლში ჩავარდნის ელფერიც რომ დაჰკრავს? ყველას ახსოვს ალბათ ცნობილი ბერძნული მითი ნარცისის შესახებ. ქართულ პოლიტიკაში გამეფებულმა სულისკვეთებამ სწორედ ეს მითი გამახსენა. მომავალში მითი საფუძვლად დაედო ტერმინს- ნარცისიზმი. მითი არის ახალგაზრდა, უბედურ, თავის თავზე შეყვარებულ კაცზე, რომელსაც ნარცისი ერქვა. იგი პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა.

ჰოდა, ვფიქრობ, ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს მართლა სჯერა თავისი განუმეორებლობისა და იმ რეიტინგების, თუ ჩვენ გვატყუებს?

ისე, კაცმა რომ თქვას, ამბიცია ცუდი სულაც არაა, მთავარია, საზღვრებს არ გასცდეს... საქართველოში კი მან, დიდი ხანია, დასაშვებ ზღვარს გადააბიჯა და გადამეტებული სახე მიიღო. პოლიტიკაში ეს ფაქტორი ყველაზე მეტადაა საგრძნობი. პოლიტიკოსებს სჯერათ, რომ ხალხისთვის მათი იდეები ყველაზე ახლოსაა და ოპოზიციაში მყოფნი მისაღებნი არიან ამომრჩევლისათვის. ამ ნარატივს იზიარებენ მმართველი ძალის წარმომადგენლებიც, რომელთა პოზიციაა, რომ საქმის კეთებისას ლაფსუსი ყველგანაა, მაგრამ ხალხზე ზრუნვა ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომელიც მათ საბოლოო გამარჯვებასთან აახლოვებს.

თუ ცნობილ სოციოლოგებსა და ფილოსოფოსებს დავუჯერებთ, თეორიულ ასპექტში, რეალისტური პარადიგმა ამბიციას მოკლებული არაა.

მაკიაველი თავის თანამედროვეებზე ბევრად შორს წავიდა, როდესაც გამოთქვა აზრი, რომ მებრძოლ ადამიანებს გარკვეულწილად ბედის მართვა შეუძლიათ: მათ ვისაც არ სურს „ცვალებადი ბედის“ მიერ იყვნენ მოტყუებულნი, ამ უკანასკნელს უნდა უპასუხონ ან ძალის ან ეშმაკობის გამოყენებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა აირჩიონ ლომი ან მელია: „უმჯობესია იყო გაბედული,“ ასკვნის იგი, რადგან ბედის დასამორჩილებლად „მასზე გამარჯვება და თავდასხმაა“ აუცილებელი.

პოლიტიკური ნარცისიზმის ტყვეობაში არიან თუ თავიანთი ბედის დასამორჩილებელ ბრძოლაში ჩაბმულნი ქართული პოლიტიკოსები, ამას არჩევნების შედეგები ერთ თვეში გვაჩვენებს.

ინგა შიოლაშვილი

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 2 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

ახალი გადაწყვეტილებები, რომელიც საკოორდინაციო საბჭომ მიიღო

უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობაზე დაწესებული შეზღუდვა 13 სექტემბრამდე გახანგრძლივდება.

ამის შესახებ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

„როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით. მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე საკოორდინაციო საბჭომ დღეს დამატებითი გადაწყვეტილებები მიიღო. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა 13 სექტემბრამდე გახანგრძლივდება“, - განაცხადა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერატიული შტაბის უფროსმა გიორგი ღიბრაძემ.

ცნობისთვის, ტრანსპორტის მუშაობა 4 სექტემბრამდე იყო შეზღუდული.

გარდა ამისა, სკოლებში სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში განახლდება. როგორც გიორგი ღიბრაძემ განაცხადა, 4 ოქტომბრამდე შეზღუდული დარჩება სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობაც.

“სასწავლო პროცესი სკოლებში 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში განახლდება, ანალოგიური რეგულაცია გავრცელდება უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებზე. 4 ოქტომბრამდე შეზღუდული დარჩება სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობა და ეს ეხება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბაღებსაც“,- განაცხადა გიორგი ღიბრაძემ.

ეკატერინე ტიკარაძე - ვწუხვარ, როცა გვესმის, თუ როგორ მიმართავენ ამა თუ იმ კლინიკის ექიმები პაციენტებს შავ ბაზარზე ტოცილიზუმაბის 4-ჯერ უფრო ძვირად შესაძენად, ამის გამოძიება უნდა მოხდეს

ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, კლინიკები პრეპარატ „ტოცილიზუმაბის“ მარაგების შესახებ ინფორმირებულები არიან და მათ პრეპარატის შესაძენად არა პაციენტის ახლობლებს უნდა მიმართონ, არამედ შიდა მედიაციით მოიძიონ პრეპარატის თავისუფალი დოზები.

მინისტრი კლინიკების ხელმძღვანელებს სთხოვს ექიმებს მიანოდონ სათანადოდ ინფორმაცია, რათა მათ პაციენტების ახლობლები „ტოცილიზუმაბის“ 4-ჯერ ძვირად შესაძენად ე.წ. „შავ ბაზარზე“ არ გაუშვან.

„თქვენ იცით, რომ სახელმწიფო პრეპარატ „ტოცილიზუმაბის“გამოყენების ხარჯებს ანაზღაურებს და ასევე, ისიც, რომ პრეპარატის შემსყიდველი ხართ თქვენ, კლინიკების ხელმძღვანელები. ძალიან ვწუხვარ, როცა სოციალურ ქსელში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით ჩვენ გვესმის, თუ როგორ მიმართავენ ამა თუ ინ კლინიკის ექიმები პაციენტებს „შავ ბაზარზე“ ამ მედიკამენტის 4-ჯერ უფრო ძვირად შესაძენად. ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი. ამ ფაქტით სხვადასხვა სტრუქტურები არიან დაინტერესებულები. მათ უნდა გამოიძიონ რატომ ხდება პაციენტების პატრონების იმ კრიტიკულ პერიოდში, როცა მათი ემოციური მდგომარეობა ყველაზე მაღალია, გაგზავნა შავ მომწოდებელთან თუ გამსაღებელთან. მათ 4-ჯერ ძვირად უწევთ ამ პრეპარატის შეძენა, მაშინ როცა ძალიან კარგად ვიცით, თუ რომელ კლინიკებშია მარაგი მობილიზებული. საჭიროების შემთხვევაში ყველას აქვს საშუალება მიმართოს კოლეგა ექიმს, კოლეგა კლინიკას იმისთვის, რომ მოხდეს ამ პრეპარატის დაუყოვნებლივ მიწოდება ამ კლინიკისთვის და ამ მედიაციაში სამინისტროს მხრიდან ძალიან ხშირად ვართ ჩართულები.

მე ძალიან გთხოვთ, კიდევ ერთხელ, ნულარ დაფიქსირდება მსგავსი ფაქტი. სამინისტრო ყოველთვის დგას თქვენ გვერდით და თუ ვერ ხდება ერთმანეთთან კომუნიცირება, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ეს პრობლემა პაციენტის სასარგებლოდ გადაიჭრას. შევეცადოთ, ექიმების დონეზე ჩავიტანოთ ეს ინფორმაცია. არ არის საჭირო პაციენტის პატრონებზე ემოციური ზემოქმედება, ეს არის ჩვენი ტვირთი, ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა და სნორედ ჩვენ უნდა გადავჭრათ ეს პრობლემები.

ამასთან, კიდევ ერთი ფაქტი, შარშანდელთან შედარებით, როცა ეს პრეპარატი არათუ საქართველოს, არამედ მსოფლიო ბაზარზეც არ იყო და არ გამოიყენებოდა, ლეტალობის მაჩვენებელი გვქონდა იგივე, დღესაც ლეტალობის მაჩვენებლი არ შემცირებულა. დასკვნა არის ერთი - ეს პრეპარატი უნდა გამოვიყენოთ სწორად შერჩეულ პაციენტზე, სწორი დანიშნულებით. ეს არის კლინიკური ნაწილი და კლინიკურ ნაწილში როგორც საავადმყოფოს მენეჯმენტი, ასევე სამინისტროს მხრიდან მენეჯმენტი არ ერთვება და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს კარგი პრაქტიკა სამომავლოდაც იქნება შენარჩუნებული“, - განაცხადა ტიკარაძემ.

ღვინის ეროვნული სააგენტო, რთველის პერიოდში, კახეთის რეგიონში მცხოვრებ 150 ახალგაზრდას ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმებს.

რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნული სააგენტო კახეთის რეგიონში მცხოვრებ 150 ახალგაზრდას ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ღვინის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, ახალგაზრდები ოპერატორის პოზიციაზე დასასაქმებლად, კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად შეირჩნენ.

„შერჩეულ კანდიდატებს, რთველის აღრიცხვის პროგრამის ტრენინგები რთველის საკოორდინაციო შტაბში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა ჩაუტარეს.

რთველის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებისთვის მნიშვნელოვანია.

დასაქმებული ახალგაზრდების ნაწილს, ანალოგიური სამუშაო გამოცდილება გასული წლების რთველიდან უკვე აქვს. ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დასაქმებული ახალგაზრდების ანაზღაურება, თვეში, 900 ლარამდე იქნება“, - ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ყვარელში, სოფელ შაქრიანში, სეტყვამ ვენახები კიდვ ერთხელ დააზიანა

2 სექტემბერს, ყვარლის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთხელ მოსულმა სეტყვამ ზიანი მიაყენა სოფელ შაქრიანის სასოფლო - სამეურნეო სავარგულებს. ძლიერმა ქარმა სოფელ გრემში რამდენიმე საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა.

ასევე, სეტყვის შედეგად ზიანი მიადგა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულს, სადაც წინასწარი მონაცემებით დაახლოებით 70 ჰა სასოფლო - სამეურნეო მიწის ფართობი დაისეტყვა.

აღსანიშნავია, რომ 26 აგვისტოს მოსული სეტყვის შედეგად დაზიანებული მოსავლის 90 % სოფელ შაქრიანის ფერმერებს ამ დროისთვის უკვე ჩაბარებული აქვთ. რაც შეეხება დღეს მიყენებულ ზიანს საქართველოს მთავრობის და პირადად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით დაზარალებულ მოსახლეობას ზარალი აუნაზღაურდებათ.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაზარალებული სოფლების მოსახლეობას უკვე შეხვდა, პარალელურად მიმდინარეობს ზარალის დათვლის პროცესი.

ვინ რამდენი დახარჯა წინასაარჩევნოდ?

აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2 აგვისტოდან -22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, პარტიებიდან რეკლამაში ყველაზე მეტი გიორგი გახარიას პარტიამ „საქართველოსთვის“ დახარჯა. ხარჯმა 79 893 ლარი შეადგინა. მათ შორის, პარტიამ, ყველაზე მეტი 76 209 ლარი გარე რეკლამისთვის გაიღო, ინტერნეტ-რეკლამაში 2709 ლარი გადაიხადა, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებისთვის 975,76 ლარი გამოყო.

შემდეგ ადგილზეა „ევროპული საქართველო“. პარტიამ 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, რეკლამაში სულ 51 471 ლარი დახარჯა. მათ შორის, პარტიამ, ყველაზე მეტი 51 055,68 ლარი ინტერნეტ-რეკლამისთვის გამოყო, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაში 210 ლარი გადაიხადა, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებისთვის 205 ლარი გაიღო.

„ევროპული საქართველოს“ შემდეგ, ყველაზე მეტი, რეკლამაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს დახარჯული. პარტიამ 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, რეკლამაში სულ 38 135 ლარი დახარჯა. მათ შორის, პარტიამ, ინტერნეტ-რეკლამაში 25 537 ლარი გადაიხადა, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებისთვის 12 598 ლარი გაიღო.

რაც შეეხება გიორგი ვაშაძის პარტიას, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ ანუ საარჩევნო სუბიექტმა „მესამე ძალამ“ 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, რეკლამაში სულ 9800 ლარი დახარჯა. მათ შორის, პარტიამ, ინტერნეტ-რეკლამაში 7300 ლარი გადაიხადა, ხოლო ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამაში 2500 გაიღო.

„ლელო საქართველოსთვის“ 2 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, რეკლამაში სულ 4304 ლარი დახარჯა. მათ შორის, პარტიამ, ინტერნეტ-რეკლამაში 950 ლარი გადაიხადა, ხოლო სხვა სარეკლამო ხარჯებისთვის, 3354 ლარი გაიღო.

რაც შეეხება შემოწირულობებს, ამ ნაწილშიც, პარტიებს შორის გიორგი გახარიას პარტია ლიდერობს, მას საანგარიშო პერიოდში, შემოწირულობის სახით 233 339,13 ლარი აქვს მიღებული.

შემდეგ ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. პარტიამ შემოწირულობის სახით 57 890 ლარი მიიღო. საანგარიშო პერიოდში, პარტიას, საბიუჯეტო დაფინანსების სახით, 183 302,91 ლარი ჰქონდა.

„ლელო საქართველოსთვის“, საანგარიშო პერიოდში, შემოწირულობის სახით 49 500 ლარი მიიღო, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების სახით, 66 963,33 ლარი ჰქონდა.

შემდეგ ადგილზეა „ევროპული საქართველო“. პარტიამ, საანგარიშო პერიოდში, შემოწირულობის სახით 43 830 ლარი მიიღო, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების სახით 93 700,75 ლარი.

გიორგი ვაშაძის პარტიას, საანგარიშო პერიოდში, შემოწირულობა არ უფიქსირდება, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსების სახით, 78 327,11 ლარი აქვს

რა შეღავათებს აწესებს იუსტიციის სამინისტრო და რა იქნება უფასო სრულად ვაქცინირებული მოქალაქეებისთვის?

კოვიდვაქცინის ორი დოზით აცრილი პირები იუსტიციის სამინისტროს სერვისების ნაწილს უფასოდ მიიღებენ, ნაწილს კი — ნახევარ ფასად. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სრულად ვაქცინირებულები უსასყიდლოდ იუსტიციის სამინისტროს შემდეგი სერვისებით ისარგებლებენ:

ინდივიდუალური მენარმის რეგისტრაცია;

რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება და შეწყვეტა;

უძრავ ქონებაზე ამონაწერის განახლება.

კოვიდვაქცინის ორივე დოზით აცრილ პირებზე 50%-იანი ფასდაკლება იმოქმედებს შემდეგ სერვისებზე:

ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ ცნობა;

ID ბარათზე სერტიფიკატის განახლება.

იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებული შეღავათების მიღება ორჯერადად ვაქცინირებულთათვის იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში წინასწარი ჯავშნის გარეშე იქნება შესაძლებელი.

მუსიკა არის ყველაზე დიდი თავისუფლება...

მუსიკით ღრმა ბავშვობიდან დაინტერესდა- მისი უფროსი და უკრავდა ფორტეპიანოზე და მალვინა მისი შესრულების თანხლებით ოთახში წრეზე ტრიალებდა. 6 წელი რომ შეუსრულდა, დედამ სამუსიკო სკოლაში,საფორტეპიანო კლასში შეიყვანა და მთელი თავგადასავალიც ზუსტად ამის შემდეგ დაიწყო.

მალვინა ისმაილოვას კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის მკითხველი, როგორც წარმატებულ მოსწავლეს და ახალგაზედა პიანისტს. დღეს ის უკვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტია. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

ვინ იქონია შენზე გავლენა, რომ მუსიკის სიყვარულს სერიოზული სახე მიეღო?

მუსიკის მიმართ ჩემი სიყვარული სწორი გზით წარმართეს ჩემმა პედაგოგებმა: ქ-ნ ნინო ლაპიაშვილმა, რომელმაც პირველმა მაზიარა ფორტეპიანოს და 6 წლის განმავლობაში ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, რომ ჩემში მაქსიმალური ჩაედო. ასევე, ქ-ნ თამილა ნადირაშვილმა, რომელთან 2-წლიანი მუშაობის შედეგად დამეხვეწა გემოვნება და მივიღე პერფორმანსების დიდი გამოცდილება, როგორიც იყო კონკურსები თუ კონცერტები. შემდგომში,ჩემი მათემატიკის მასწავლებლისა და უძვირფასესი პიროვნების, ქ-ნი ხათუნა სულაშვილის რჩევითა(რისთვისაც არ ვიცი მადლობა როგორ გადავუხადო!) და დედაჩემის დახმარებით,მუსიკალური სკოლა მოვძებნე თბილისში და სწავლა გავაგრძელე ზ. ანჯაფარიძის სახელობის 28-ე ხელოვნების სკოლაში, სადაც თითქმის 6-წლიანი სწავლის მანძილზე, ჩემმა პედაგოგმა, ქ-ნ ნანა ნანიტაშვილმა იქონია უდიდესი გავლენა ჩემი შესრულების სტილსა და მანერაზე, დამოკიდებულებაზე, შესრულებისწინა მენტალურ მზაობაზე. წლების მანძილზე იგი ჩამოყალიბდა ჩემს უახლოეს ადამიანად და პირველ რიგში, მეგობრად, რის გამოც მასთან ერთად ეს დიდი გზა ჩემთვის ძალიან კომფორტული გასავლელი აღმოჩნდა.მასთან ერთად, შეუფასებელია 28-ე ხელოვნების სკოლის საფორტეპიანო განყოფილების უფროსის, ქ-ნ ლია ნიქაბაძის ღვაწლი ჩემში „მუსიკოსური“ ნაწილის განვითარებაში და იმაში, რომ მის გამო, მუსიკა ჩემს თვალში დღეს სულ სხვანაირია. ცხადია, აქვე უნდა აღვნიშნო ჩემი თეორიის პედაგოგები, ქ-ნი ხათუნა კალმახელიძე და ქ-ნი თამარ ბერძენიშვილი- საოცარი ადამიანები, რომელთა წყალობითაც, უკეთ მესმის, თუ რას ვუკრავ, ვიცნობ უფრო ფართო ლიტერატურას და მუსიკასთან ბევრად ახლოს ვარ, ვიდრე აქამდე ვიყავი.

ყველა ზემოთაღნიშნული ადამიანი ჩემთვის გამორჩეულად ძვირფასია და მთელი ცხოვრების მანძილზე არ დავიღლები მათთვის მადლობების თქმით და ვერასოდეს გადავიხდი მათ ამაგს.

რა ახდენს გავლენას ადამიანის პროფესიულ არჩევანზე?

ვფიქრობ, რომ ადამიანის პროფესიულ არჩევანზე გავლენას ახდენს მისი შინაგანი „მე“. ცხადია, მნიშვნელოვანია გარემო ფაქტორებიც, თუმცა ვფიქრობ, რომ იმას, რასაც საკუთარ თავსა და ცხოვრებას ვუძღვნით, ჩვენი პიროვნული მისწრაფებებისა და თვისებების გათვალისწინებით ვირჩევთ და თავს ვაძლევთ უფლებას ვაკეთოთ ის, რაც მთელი გულით გვიყვარს.

კორონავირუსი და მუსიკა. როგორ გადაიტანეთ ეს რთული პერიოდი აბიტურიენტებმა?

კოვიდ-19 ით გამოწვეული ვითარება ჩემთვის, და ნებისმიერი მუსიკოსისთვის, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ გაქრა აუდიტორიის წინაშე შესრულების ცნება, გადამედო კონცერტები, ფესტივალები თუ კონკურსები, წელიწადნახევრის განმავლობაში მომიწია,სპეციალობის პედაგოგთან ონლაინ მემუშავა, რაც, დამეთანხმებით, მუსიკასთან მიმართებაში წარმოუდგენელიც კია და რამაც, ცხადია, ძალიან გაართულა ის ეტაპი, რომელიც კონსერვატორიის შემოქმედებითი ტურის გამოცდებისთვის მზადებისას გავიარე. საბედნიეროდ, ადამიანები, რომლებთანაც ვმუშაობდი, დროსა და რესურსს არ იშურებდნენ და ეს უდიდესი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა.

უცვლელი რჩება ის, რომ დღემდე მენატრება სცენაზე დაკვრა და აუდიტორიის შეგრძნება და ვიმედოვნებ, რომ ცხოვრების ჩვეულ რიტმს ძალიან მალე დავუბრუნდებით.

როგორ მიგაჩნია, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდობა დაინტერესდეს კლასიკური მუსიკით?

მუსიკა არის ყველაზე დიდი თავისუფლება, ამიტომაც ის გზა, რომელიც მასთან ადამიანს მიიყვანს, თავად პიროვნების გასავლელია. ვთვლი, რომ უფრო სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა დაინტერესდეს არა მხოლოდ კლასიკური, არამედ ზოგადად, მუსიკით-კარგი მუსიკით. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში საჯარო სკოლებში მუსიკალური განათლების წინა პლანზე წამოწევა და მოსწავლეებისადმი საინტერესო,მრავლისმომცემი , მაგალითებით გამყარებული ინფორმაციის მიწოდება. რაც შეეხება მუსიკალურ სკოლებს,ვფიქრობ, რომ მათ მიზანსაც, ასევე, უნდა წარმოადგენდეს ზოგადად მუსიკა და არა მხოლოდ მისი რომელიმე კონკრეტული ჟანრი. ცხადია, ბავშვის გონება ადრეულ ასაკში დაუცველია და ყველა ტიპის ინფორმაციას იღებს,როგორც ობიექტურ რეალობას. ამიტომაც საჭიროა ამ საკითხთან მეტად ფაქიზი მიდგომა-საუბარი, მოსმენა როგორც დისკების, ასევე ფირფიტების საშუალებით, ღონისძიებებზე დასწრება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრთა ფართო კვლევა. ხელოვნების, როგორც მთლიანის, ღრმად შესწავლა, რადგან მისი ყველა მიმდინარეობა ერთმანეთის შემავსებელი, ერთი დიდი მთლიანობის ნაწილია და შეუძლებელია განხილულ იქნას ცალკ-ცალკე - მუსიკას მხატვრობის, ფილმოგრაფიის ან ლიტერატურის გარეშე სისავსე მოაკლდებოდა.

ის, მივა თუ არა ახალგაზრდობა უშუალოდ კლასიკურ მუსიკასთან, მათი გადასაწყვეტია. თუმცა,იმაზე გავლენა, თუ რამდენად პატივისცემით მიუდგებიან ისინი მუსიკას, მათ შორის კლასიკურს, დააფასებენ ხარისხს და ექნებათ შესაბამისი განათლება, რომ გაარჩიონ კარგი მუსიკა ცუდისგან, გარემო პირობებს,ოჯახს, სკოლას, საზოგადოებას,ნამდვილად შეუძლია.

ახალგაზრდობის დიდი ნაწილი არ უსმენს კლასიკურ მუსიკას, შენ ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისი ხარ. როგორ დაინტერესდი კლასიკური მუსიკით?

ჩემი კლასიკური მუსიკით დაინტერესება დაიწყო ჩემი მუსიკალურ სკოლაში ფეხის შედგმის დღიდან, თუმცა,საკუთარ თავს ჟანრობრივ შეზღუდვებს არასდროს ვუწესებდი. მიუხედავად იმისა, რომ ვარ კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, ეს არ მიშლის ხელს, ასეთნაირადვე მიყვარდეს მუსიკის სხვა მიმდინარეობები. კლასიკური მუსიკის შემდეგ, მიყვარს როკ-მუსიკა და ვთვლი, რომ ის კლასიკასთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული ჟანრია, მაგალითად, პროგრესიული როკი, რომელიც სტილისტურად და აკორდულად ძალიან ჰგავს და ხშირად მოიცავს კიდეც კლასიკურ ჰარმონიას და ძალიან მიყვარს. ჩემი პირველი შეხება მუსიკასთან დაიწყო კლასიკით და მანვე გამიშალა ჟანრთა ფართო სპექტრი ,რომელიც ასეთივე მდიდარი და საინტერესოა და ვთვლი, რომ მუსიკის სიყვარული არც შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი მიმდინარეობით .

ძალიან რთულია იყო კლასიკური მუსიკის შემსრულებელი. არ გაგიჭირდა კლასიკურ მუსიკასთან „შერკინება“?

კლასიკური, ისევე როგორც ზოგადად, მუსიკის, შესრულება ნამდვილად ძალიან რთულია. ეს ითვალისწინებს როგორც ფიზიკურ, ასევე მენტალურ, სულიერ, ემოციურ სირთულეს. ჩემთვის კლასიკური მუსიკის შესრულება არის უდიდესი პასუხისმგებლობა, პატივი და ბედნიერება. ცხადია, მასთან შეჭიდებისას სირთულეებიც მაქვს და მომწონს, რომ მაქვს, ეს ასეც უნდა იყოს. მუსიკისკენ, ხარისხიანი შესრულებისკენ მიმავალი გზა არცერთ შემთხვევაში იქნება და არც უნდა იყოს მარტივი. თუ მუსიკაში არ ჩადე მთელი შენი დრო, ენერგია, ტკივილი, მთელი ემოცია, შესრულებას ვერასდროს ექნება სათანადო სიღრმე და სინამდვილე. როდესაც ირჩევ მუსიკის გზას, მზად ხარ, მისცე მას ყველაფერი, რაც გაგაჩნია. სირთულეები კი მასთან მხოლოდ გაახლოვებს და მის ნაწილად გაქცევს.

სამომავლო გეგმები..

დაახლოებით 10 წლის მანძილზე ნებისმიერ დროს რომ დაგესვათ ეს შეკითხვა, დაუფიქრებლად გეტყოდით, რომ კონსერვატორიაში ჩაბარება იყო ჩემი სამომავლო გეგმა. ჯერ მენტალურად ვერ მივსულვარ იქამდე და მიჭირს იმის გააზრება, რომ ის მიზანი, რომლისკენაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მივდიოდი, უკვე შესრულებულია, მიზნების კატეგორიაში მე ნამდვილად აღარ მეკუთვნის და უკვე დროა, ახალი დანიშნულება მოვუფიქრო ჩემს ცხოვრებას. პანდემიის გამო დაზუსტებით მეც არ ვიცი, რამდენად განხორციელდება ის უახლოესი გეგმები, რაც მხედველობაში მაქვს, ამიტომაც, რაიმე კონკრეტულის თქმისგან ჯერ თავს შევიკავებ, ერთი, რაც ზუსტად ვიცი, არის ის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არასდროს შევწყვეტ მუსიკის მეტად შემეცნებისკენ სწრაფვას.

თქვენი ჰობი...

ჩემი ჰობი და ყოველდღიურობის ნაწილი არის კითხვა და კინემატოგრაფია.

საყვარელი წიგნი, მწერალი, ნაწარმოები,საყვარელი მუსიკა, კომპოზიტორი...

ცხადია, ასე, ერთმნიშვნელოვნად გამოყოფა რთულია, თუმცა, ამ ეტაპზე გამოვარჩევდი იტალო კალვინოს წიგნს „თუ ზამთრის ღამით მოგზაური“. მწერალთა შემთხვევაში კიდევ უფრო მიჭირს ერთი კონკრეტულის დასახელება, თუმცა, გამოვყოფდი ფოლკნერს, დოსტოევსკის, ზემოთაღნიშნულ კალვინოს, ჯემალ ქარჩხაძეს. მუსიკის ჟანრებიდან მოწინავე პოზიცია კლასიკურ და როკმუსიკას უჭირავს, საყვარელი ჯგუფებია Led Zeppelin, Rush, Iron Maiden, რჩეული კომპოზიტორებიდან კი რახმანინოვს, რობერტ შუმანს, ბრამსსა და ბახს გამოვყოფდი.ერთი კონკრეტული საყვარელი ნაწარმოების დასახელებაც რთულია, თუმცა გამოვარჩევდი ბრამსის პირველ საფორტეპიანო კონცერტს, მოსკოვსკის მი მაჟორული(თხზ 59) საფორტეპიანო კონცერტის მეორე ნაწილს, ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიას, შუმანის Davidsbundlertanzes,ბახის პარტიტებსა და სავიოლინო სონატებს. შესრულებისას თავს ყველაზე კომფორტულად რახმანინოვთან და შუმანთან ვგრძნობ. ასევე,ძალიან მიყვარს ბრამსის ინტერმეცოები, განსაკუთრებით თხზ.117 ნომერი 2 და თხზ. 118დან პირველი. ყველა დროის საყვარელ ნაწარმოებთა კატეგორიაში გავიყვანდი შოპენის პირველ ეტიუდსაც(თხზ.10). როკმუსიკის შემთხვევაში ეს სია კიდევ უფრო დიდია, ამ ეტაპზე, გამოვყოფ ჩენესის ის წევრის, Anthony Phillips ის სოლო ინსტრუმენტალურ ალბომს “Private parts and pieces”, რადგან გამოცდების პერიოდს უკავშირდება და ჩემთვის სხვანაირად ძვირფასია.

ხელახლა რომ დაიწყო ცხოვრება, რას შეცვლიდით?

ხელახლა რომ დავიწყო ცხოვრება, არაფერს შევცვლიდი, თუკი მეცოდინება, რომ ის, რაც გავიარე, აქამდე მომიყვანს.

ყველაზე დიდი სიმდიდრე, ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი...

ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრე არის მუსიკა და ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანიც ფორტეპიანოსთან ურთიერთობაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახსა და მეგობრებს, რომელთა გარეშეც ვერ წარმომიდგენია, თუ ვინ ვიქნებოდი და უსაზღვროდ მადლიერი ვარ მათი გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის.

როდესაც გიხარია, როდესაც გწყინს, ყველაფერი ფერმკრთალდება, როცა...

ემოციის ნებისმიერი ტიპისთვის გამაჩნია შესაფერისი მუსიკა და როდესაც მწყინს ან მიხარია, ცხადია, მასვე მივმართავ.

რა პრობლემის წინაშე დგახართ ახალგაზრდები?

ამ ეტაპზე,მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი პრობლემა, რის წინაშეც ახალგაზრდობა ვდგავართ, სოციალური ცხოვრების არარსებობა მგონია. მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემთვის ეს კომფორტულიც კია, ფართო მასშტაბებზე ფიქრისას ვხვდები, რომ განათლების ონლაინ ფორმატით მიღება დიდი ზიანის მომტანი იქნება ახალგაზრდების პროფესიონალიზმის განვითარებისთვის.

რას ნიშნავს შენთვის თავისუფლება?

თავისუფლება ჩემთვის მდგომარეობაა, რომელსაც Mike Oldfield- is ალბომის, „Tubular bells” მოსმენისას ვგრძნობ. რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ ბალახის სუნი აქვს.

ესაუბრა
ინგა ციოლაშვილი

მუსკატის ჯიშის ყურძენი დაიკრიფა

ფიროსმანში დასრულდა მუსკატის ჯიშის ყურძნის დაკრეფა, რომლის საერთო რაოდენობამ დაახლოებით 350 ტონას მიაღწია.

მუსკატის ყურძნის ჯიშმა, ბოლო პერიოდში აღიარება და პოპულარობა მოიპოვა როგორც ქართველ ხალხში, ასევე ბევრ საერთაშორისო ღვინის მოყვარულს შორის. ჩვენი მუსკატი არის არომატული ღვინო სასიამოვნო დაბოლოებით.

ამ ჯიშის ყურძენი არ არის იშვიათი, ის ერთ-ერთი პირველი ჯიშია, რომელიც ადამიანმა მოაშინაურა, ხოლო მისი უჩვეულობა, მის ფერშია. გაჯერებული ყვითელი ფერის გამო, ამ ყურძნის მარცვალი, მზის შუქზე, ქარვას ემსგავსება.

ცოტა რამ მუსკატის შესახებ

ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ. 8-6 საუკუნეებში ძველი ბერძნებისა და რომაელებისათვის მუსკატები ცნობილი გახლდათ, თუმცა მისი წარმოშობის ადგილი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. არსებობს ვერსიები, რომ იგი ახლო აღმოსავლეთიდანაა. მასზე წერდნენ დიდი აღფრთოვანებით ჰომეროსი და ჰეოსიდი. ტერმინი „მუსკატი“ პირველად გვხვდება 13-14 საუკუნეებში, ხოლო ყურძნის ჯიში „Moscatel” — 16 საუკუნეში. თავად სიტყვა კი ფრანგული წარმოშობისაა Muscate, ხოლო სინონიმები: Moscatel (ესპანურად), Moscato (იტალიურად).თავდაპირველად მას ინახავდნენ თიხის დიდი ზომის ჭურჭელში, ერთმანეთს ურევდნენ ძველ და ახალგაზრდა ღვინოებს, მაღალი შაქრიანობისა და სპირტის მაღალი კონცენტრაციის გამო, ღვინოები კარგად ინახებოდა. მუსკატური ღვინოები ერთ-ერთი უძველესი სასმელია, 12-13 საუკუნეებში საფრანგეთის სამხრეთ რეგიონში მაშტაბურად დაიწყო მუსკატური ღვინოების წარმოება, იქაური ღვთის მსახურების მიერ. თვით რომის პაპი -პაპი კლიმენტ VI - ც კი ჩაება ამ ბიზნესში. ისინი ისეთ გემრიელ და ხარისხიან ღვინოს აწარმოებდნენ, რომ ამ რეგიონში მუსკატურ ღვინოებს „მღვდელთა ნექტარს“ ეძახიან დღემდე. ეს იდეალური გემოსა და არომატის ღვინოები მზადდება ყურძნის მუსკატური ჯიშებიდან. მათ ახასიათებს მაღალი შაქრიანობა და საგრძნობლად სპეციფიური არომატი. გამოირჩევა ჰარმონიული არომატით, ხშირ შემთხვევაში ციტრუსის და თაფლის ტონებით, სრული სხეულიანობით. თეთრი მუსკატური ღვინოები ქარვისფერი შეფერილობისაა, ხოლო წითლები - ლალისფერი. ღვინის გემო და არომატი დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა ჯიშზე : ეს იქნება მუსკატი თეთრი, ვარდისფერი, იისფერი, ალექსანდრეული თუ ჰამბურგის მუსკატი. მუსკატის 4 ძირითადი სახეობაა - ჰამბურგული, ალექსანდრეული, თეთრი, და ოტტონელი - ყველაზე მეტად გავრცელებული კი არის თეთრი მუსკატი (Muscat Blanc a Petits Grains). ჰამბურგულ მუსკატს და ალექსანდრეულს აშენებენ როგორც სასუფრედ, აგრეთვე საღვინე მიზნით.

დედოფლისწყაროს რაიონში ვენახები გაშენებულია მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 350 მეტრზე. ჯიშური თვისებებიდან გამომდინარე ჰამბურგის მუსკატი სითბოს მოყვარულია, ეს რეგიონი კი კლიმატური პირობებიდან მიხედვით შესაფერისია მისთვის. ამ რეგიონში ვხვდებით ორი ტიპის ჰავას: სამხრეთით ცხელზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, ჩრდილოეთით კი ზომიერად ნოტიო ჰავა, ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ხანგრძლივი და თბილი. რეგიონის საშუალო წლიური ტემპერატურა კი 13,3 °C აღწევს. სწორედ ამ ფაქტმა განსაზღვრა შაქრების მაღალი მაჩვენებელი სხვადასხვა ჯიშის ყურძენში და მათ შორის ჰამბურგის მუსკატში. ვენახი გაშენებულია შავმიწა ნიადაგებზე, ხოლო წელიწადში ნალექების რაოდენობა მხოლოდ 540 მმ აღწევს.

ჰამბურგის მუსკატი-შავი ყურძნის სახეობაა, რომელიც გამოირჩევა გაჯერებული გემოთი და ადვილად საცნობი ფორმით. ჰამბურგის მუსკატი სელექციური ინტროდიცირებული ჯიშია, რომელიც ინგლისში იქნა გამოყვანილი 1850 წელს.

ნაადრევად დაწყებული რთველი

კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში ნაადრევი და იძულებითი რთველი დაიწყო. სტიქიამ ბევრ მევენახეს მოსავალიც გაუჩანაგა და გეგმებიც წყალში ჩაუყარა.რამდენიმე სოფელში სეტყვამ ყურძენი 100 %-ით გაანადგურა, დაზიანა ვაზიც. ყველაზე მეტად ყვარლის სოფლებია დასეტყვილი, მათ შორის, მიკროზონები.

გურჯაანში დაისეტყვა სოფლები ვაჩნაძიანი, შაშიანი, ვაზისუბანი, ველისციხე, ახაშენი, ძირკოკი, სულ 1070 ჰექტარი ვენახი. წინასწარი მონაცემებით, აქედან დაახლოებით 600 ჰექტარზე მეტი საფერავის ჯიშის ვაზია. ვაჩნაძიანში 170 ჰექტარი დაისეტყვა, შაშიანში 250, კალაურში 150, ვაზისუბანში 200, ველისციხეში 170, ახაშენში 100, ძირკოკში 30. ყურძენი საშუალოდ 80 %-ით არის დაზიანებული. გურჯაანის მერის არჩილ ხანდამაშვილის თქმით, ღვინის ქარხნები დასეტყვილ ყურძენს ხვალიდან ჩაიბარებენ.

თელავში დაისეტყვა სოფლები აკურა - 400 ჰექტარი, ვანთა - 100, ბუშეტი - 25, ქვემო ხოდაშენი - 80, წინანდალი - 200, კონდოლი - 150, სულ 955 ჰექტარი. წინასწარი მონაცემებით, ყურძენი 40-50 %-ით არის დაზიანებული, თუმცა არის ვენახები, სადაც სეტყვამ მოსავალი თითქმის მთლიანად გაანადგურა.

სეტყვამ ყვარელში 10 სოფელი დააზარალა, ჯამში 2000 ჰექტრამდე ვენახია დასეტყვილი. შაქრიანში - 150 ჰექტარი, გრემში 100, ენისელში 350, ალმატში - 80, საბუეში - 300, შილდაში 150, ყვარელში - 200, სანავარდოში - 110, კუჭატანში - 45, გავაზში - 400, ბალღოჯიანში 110 ჰექტარი.

წინასწარი მონაცემებით, დაზარალებული მევენახეების უმრავლესობას მოსავალი დაზღვეული არ ჰქონდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, 27 აგვისტოს კახეთში, კერძოდ, გურჯაანის, თელავის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში დაახლოებით 5000 ჰექტარი დაისეტყვა. დავითაშვილის თქმით, ძირითადად ვენახებია დაზიანებული. მევენახეებს ჯამში 1200 ჰექტრამდე ფართობი ჰქონდათ დაზღვეული.

„არის სოფლები, სადაც დაზიანება არის 100 პროცენტამდე, თუმცა არის რაიონები, სადაც 30-დან 50 პროცენტამდე ზარალს ველოდებით. მივმართავ მოსახლეობას, მომავალ წლებში აუცილებლად გამოყენონ დაზღვევის ის პროდუქტი, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობთ. აგროდაზღვევის პროგრამაში სადაზღვეო პრემიის, ანუ შენატანის თანხის ნახევარს, ვენახების შემთხვევაში, სახელმწიფო იხდის. შესაბამისად, ეს არის მნიშვნელოვნად გაიაფებული სერვისი. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ფერმერებთან და ყველა აღიარებდა, რომ სამწუხაროდ, წელს არ გამოიყენეს დაზღვავა. დაზიანებული ფართობიდან 1200 ჰექტრამდე დაზღვეულია და დაზღვეული მევენახეები მიიღებენ სრულ ანაზღაურებას. რა თქმა უნდა, ისინი უპირატეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ გვესმის, რომ ესეც არის მაგალითი იმისა, რომ დაზღვევა აუცილებელი საჭიროებაა სასოფლო სამეურნეო საქმიანობისას“, -განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

30 აგვისტოს მონაცემებით, 27 აგვისტოდან დღემდე, გადამუშავებულია 2 300 ტონამდე დასეტყვილი ყურძენი, რომელიც ღვინის საწარმოებს 600-მდე მევენახემ ჩაბარა - მათი შემოსავალი 2 მლნ ლარს აღწევს.

სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ 29 აგვისტოს, 7 ლოკაციაზე შეუფერხებლად იღებდა სეტყვისგან დაზიანებული ყურძენს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მევენახეები, რომლებსაც სეტყვამ 100%-ით გაუნადგურა მოსავალი ერთჯერადი კომპენსაციის სახით თითოეულ 1 ჰექტარ ფართობზე 3000 ლარს მიიღებენ. ხოლო, სეტყვის შედეგად დაზიანებული ყურძნის ჩაბარებას, მევენახეები 3 სექტემბრის ჩათვლით შეძლებენ: 1 კგ რქაწითელს 0,80 ლარად და 1 კგ საფერავს - 1 ლარად.

დაწყებულია სეტყვისგან დაზარალებული აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარების ზარალის დათვლა. სახელმწიფო, ყველა კულტურაზე სადაზღვევო პოლისის 70%-ის, ხოლო ვაზზე - 50%-ის დაფინანსებას ახდენს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 27 აგვისტოდან დღემდე, გადამუშავებულია 2.2 ათასამდე ტონა დასეტყვილი ყურძენი, რომელიც ღვინის საწარმოებს 600-მდე მევენახემ ჩააბარა - მათი შემოსავალი 2 მილიონ ლარს აღწევს.

კახეთის რეგიონში, ვენახები, ჯამურად 35 ათასამდე ჰექტარ ფართობზეა გაშენებული.

სკოლის მერხიდან – უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიამდე...

მესამე წელია, განსაკუთრებულად რთული პერიოდის გავლა უწევს ქართველ მოსწავლეებს დანარჩენი მსოფლიოს მოსწავლეებთან ერთად. ვერაგ ვირუსთან ბრძოლა არც მათთვის აღმოჩნდა მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები სირთულეებს მარტივად ლახავენ, სწავლის პროცესში ეს არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. წლევანდელი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, მოპოვებულ გრანტებზე უკვე აისახა პანდემიის შედეგად დისტანციური

სწავლების კვალი და არა მხოლოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ქვეყნის მასშტაბითაც უჩინარმა მტერმა თავისი სიტყვა უკვე თქვა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ახალგაზრდები და მათი მშობლებიც იმედიანად ვუყურებთ მომავალს და გვჯერა, მსოფლიო მალე შეძლებს ჩვეულ რიტმში ცხოვრების გაგრძელებას. დღეს ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი რუსო ფაშალიშვილი და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ოთო მარტყოფლიშვილი.

მინი დოსიე: -მოგესალმებით, მე ვარ რუსო ფაშალიშვილი, 18 წლის, დედოფლისწყაროდან. წელს დავამთავრე მე-2 საჯარო სკოლა და ჩავირიცხე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე.

-როგორ დაგვიხასიათებ სწავლის ბოლო წლებს?

- ჩემთვის პანდემიის პირობებში სწავლა ცოტა რთული იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში მომიწია ონლაინ სწავლება, რომელიც არ არის ისეთი შედეგის მომცემი, როგორიც უნდა იყოს. ამ პერიოდში ჩვენმა თაობამ ვერ შეიგრძნო კარგად ის, თუ რას ნიშნავს ნამდვილი აბიტურიენტობა, თუმცა, გვქონდა მეტი დრო იმისთვის, რომ ჩვენი თავი სხვაგვარადაც წარმოგვეჩინა, გვეკეთებინა სხვა საქმეც, რომელიც გვიყვარდა და დროის უქონლობის გამო ვერ ვასრულებდით.

-რის მიხედვით შეარჩიე პროფესია და როგორია შენი სამომავლო გეგმები?

-რაც შეეხება ჩემს პროფესიას, მე ის სკოლაში შესვლამდე ძალიან მიზიდავდა და ჩემს თავს, სიმართლე გითხრათ, ვერასდროს ვხედავდი სადმე სხვაგან. როცა ადამიანი სტუდენტი ხდება, უწევს მშობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრება, რაც ვფიქრობ, თავიდან ცოტა რთულია, მაგრამ ამავე დროს ძალიან სასიამოვნოც. მე ეს პერიოდი ისე მაქვს წარმოდგენილი, როგორც ჩემი მშობლები მიყვებიან და ჩემზე უფროსი ადამიანები. იმედი მაქვს, პანდემია ხელს არ შეგვიშლის იმაში,რომ ჩვენმა წინა თაობამ, ჩვენ და მომავალმა თაობებმაც განიცადოს იგივე გრძნობა, თუ რას ნიშნავს სტუდენტობა. მომავალში მინდა,რომ ჩემს საქმეში ვიყო წარმატებული და ჩემი საქმის პროფესიონალი, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ.

მე ვარ ოთო მარტყოფლიშვილი, 18 წლის. ვცხოვრობ დედოფლისწყაროში, დავამთავრე მეორე საჯარო სკოლა. სწავლის წლები ბოლოს ძალიან გართულდა, განსაკუთრებით მე- 12 კლასში. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა გამოცდებამდე ,ეს ყველაფერი ამ პანდემიის ფონზე ძალიან დამაბნეველი იყო, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, მე ამ პანდემიის გამო არაფერი გამომიტოვებია ცხოვრებაში, მხოლოდ ცოტა დავიგვიანე, სულ ესაა...

პროფესიის შერჩევა ცოტა ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს ოჯახიც ჩაერთო ამ პროცესში და ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება. იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე ადვოკატურის განხრით. ჩემი სტუდენტური წლები უბრალოდ მომავალი საჩუქარია. ის წლები, რაც უნივერსიტეტში უნდა გავატარო, დარწმუნებული ვარ, ძვირფასი და დასაფასებელი იქნება.

სამომავლო გეგმები , სიმართლე რომ ვთქვა, ჯერ ჩამოყალიბებული არ მაქვს, არც მიყვარს წინასწარ გრანდიოზული გეგმების დასახვა, ყოველდღიური ცხოვრება მიგვანიშნებს ხვალინდელ დღეზე.

რედაქცია კიდევ ერთხელ ულოცავს მუნიციპალიტეტის თითოეულ კურსდამთავრებულს და უკვე სტუდენტს ცხოვრების ახალ და ყველაზე საინტერესო ეტაპზე გადასვლას და წარმატებებს უსურვებს მათ.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

დისტანციური სწავლება, როგორც გამოწვევა

ვფიქრობ საკამათო არ უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენს სამყაროში არაფერი და არავინაა იდეალური, უნაკლო, სრულყოფილი. ნებისმიერ ადამიანში, ნებისმიერ მოვლენაში დადებითის გვერდით მეტ-ნაკლებად ყოველთვის გვხვდება უარყოფითიც. ძლიერი მხარეების გვერდით ვაფიქსირებთ სუსტ მხარეებსაც, რომელთა დაძლევით ჩვენი დაკვირვების ობიექტი უფრო მეტ მიმზიდველობას და მომხიბვლელობას შეიძენდა. გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენს არც დისტანციური სწავლება, რომლის ამა თუ იმ ფორმით გამოყენება ჩვენს განათლების სისტემაში დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. ამასთან, როცა დისტანციურ სწავლებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან სტუდენტთა და მოზარდთა დისტანციური სწავლება. აღნიშნული ფორმით სწავლება სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, თავად სკოლაშიც კი, სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე, დისტანციური სწავლების სხვადასხვა ფორმების გამოყენების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იცვლება. ასე, მაგ. ონლაინ გაკვეთილი სკოლის დაწყებით საფეხურზე და სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე სრულიად განსხვავებული შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით მეტი სირთულეების მოლოდინი უნდა გვქონდეს პირველ-მეორე კლასელებთან ონლაინგაკვეთილების ჩატარების დროს, გამომდინარე ამ ასაკის ბავშვების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან. სწავლების დაწყებით საფეხურზე ბავშვის აზროვნებას თვალსაჩინო საყრდენი სჭირდება. გარდა ამისა, ადამიანს ამ ასაკის ბავშვი მაშინ აღიქვამს მასთან მყოფად, როცა ხედავს და ელაპარაკება. ალბათ ყველას შეგიმჩნევიათ, როგორ უჭირს პატარას ტელეფონით საუბარი ყველაზე ახლობელ ადამიანთანაც კი, როცა ის მას ვერ ხედავს და ვერ ეხება. თუმცა, იმავე ონლაინგაკვეთილებს სასკოლო სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე ბევრი მოსწავლე დიდი მოწონებით შეხვდა.

მაინც რა არის დისტანციურ სწავლებაში ისეთი, რაც თავისუფლად შეიძლება სწავლების ამ ფორმის ძლიერ მხარეებად ჩაითვალოს და რაც მოზარდებშიც მოწონებას იმსახურებს:

დროის ეკონომია. ბევრი მოსწავლე დისტანციური სწავლებით კმაყოფილია უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ არ უწევს სკოლაში წასვლა-წამოსვლაზე დროის ხარჯვა, გაკვეთილის ხანგრძლივობა შემცირებულია. ყოველივე აღნიშნულის წყალობით მას გამოუთავისუფლდა საკმარისი დრო იმისათვის, რომ მისთვის საინტერესო საქმიანობით დაკავდეს. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით პედაგოგებზე, რომელთა შრომა დისტანციური სწავლების პროცესში ფაქტობრივად გაორმაგებულია. იმისათვის, რომ დღეს პედაგოგმა დისტანციურად სწავლება შეძლოს, ის უნდა დაეუფლოს შესაბამის, აქამდე მისთვის უცხო პროგრამას და თანაც ისეთ დონეზე, რომ გაკვეთილის ჩატარების პროცესში პრობლემა არ შეექმნას. მას ასევე ესაჭიროება გაკვეთილის მომზადება და ახალი სასწავლო რესურსების მოძიება, რადგანაც მის ხელთ უკვე არსებული რესურსი შეიძლება დღეს არასაკმარისი ან სწავლების ახალი ფორმისთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდეს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პედაგოგი კარგად დაეუფლება დისტანციური სწავლების პროგრამას და პრაქტიკაში მის თავისუფლად გამოყენებას შეძლებს, ასევე დააგროვებს დისტანციური სწავლებისთვის საჭირო საკმარის რესურსს, თავისუფლად შეიძლება მოზარდების მსგავსად პედაგოგმაც დისტანციური სწავლების ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ დროის ეკონომიის შესაძლებლობა გამოყოს.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ახალი, მანამდე უცნობი შესაძლებლობების გაცნობა-გამოყენება. მოზარდებისთვის ეს საკმაოდ მომხიბვლელი და მიმზიდველი აღმოჩნდა. ვფიქრობ, ის არც პედაგოგისთვის იქნებოდა ნაკლებ მიმზიდველი, რომ არა ერთი გარემოება - მას საოცრად სწრაფი ტემპებით უწევს ახალი ტექნოლოგიების, პროგრამების გაცნობა-დაუფლება და მეორე დღესვე პრაქტიკაში გამოყენება, რაც ბუნებრივია მარცხისა და წარუმატებლობის შიშის გამო ნერვული სტრესისა და შფოთიანობის გამომწვევი ხდება.

ცხოვრების ექსტრემალურ სიტუაციებში სწავლა-სწავლების უწყვეტობისა და განათლების მიღების შესაძლებლობა. დისტანციური სწავლების ყველაზე დიდი პლუსი და ძლიერი მხარე, ვფიქრობ, სწორედ ის არის, რომ ცხოვრების გართულებულ სიტუაციებში ის ჩვენი საქმიანობის გაგრძელების საშუალებას გვაძლევს. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ყველას, როგორც მოზარდებს, ასევე მშობლებსა და პედაგოგებს ცალსახად დადებითი დამოკიდებულება აქვთ და მიესალმებიან თუნდაც ამ ფორმით სწავლა-სწავლების პროცესის გაგრძელებას.

დამოუკიდებლად სწავლის, დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. არ შეიძლება არ ითქვას, რომ დისტანციური სწავლება დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავების კარგ შესაძლებლობას აძლევს მოზარდს. თუმცა, ამისთვის აუცილებელი წინაპირობა იქნება სწავლა-სწავლების პროცესის სწორად, რაციონალურად და ეფექტიანად დაგეგმვა.

მრავალფეროვნება სწავლა-სწავლებაში. როგორც მოზარდები აღნიშნავენ რეალურ სასკოლო გარემოში სწავლა-სწავლება უკვე კარგად ნაცნობი და ხანდახან მოსაბეზრებელიც კია. დისტანციური სწავლება კი მათთვის ახალი, შეიძლება ითქვას, ამ ეტაპზე უფრო საინტერესო და სახალისოც კი აღმოჩნდა.

დისტანციურ სწავლებაზე საუბრისას, მის ძლიერ მხარეებსა და დადებით მომენტებზე ყურადღების გამახვილებასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რაც შეიძლება ერთგვარ დამაბრკოლებად მოგვევლინოს აღნიშნული ფორმით სწავლა-სწავლების პროცესში:

უპირველეს ყოვლისა, დისტანციური სწავლების დროს არსებობს ერთგვარი ასაკობრივი შეზღუდვები და მისი გამოყენება ნებისმიერი ასაკის ბავშვთან ერთნაირი ეფექტურობით ვერ მოხერხდება;

დისტანციური სწავლებისას, დროში შეზღუდულობისა და ხანმოკლე ონლაინგაკვეთილების ჩატარების გამო, შეუძლებელი ხდება იმ სასწავლო პროგრამის სრულყოფილად გავლა, რომლითაც პედაგოგები რეალურ საკლასო გარემოში ხელმძღვანელობდნენ. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დისტანციური სწავლების შემთხვევაში საჭირო გახდება სასწავლო პროგრამების სერიოზული მოდიფიცირება;

კომპიუტერულ ტექნიკაზე მიჯაჭვულობის გაძლიერება დისტანციური სწავლების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. ასე რომ, თუ ჩვენ გვინდა დისტანციური სწავლების ეფექტიანობის გაზრდა, შევეცადოთ სწავლების ამ ფორმის ძლიერ მხარეებზე გავამახვილოთ ყურადღება და მისი საშუალებით სუსტი მხარეების დაძლევაზეც ვიზრუნოთ.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გავრცელების რისკი კვლავ მაღალია, საქართველოს მედიცინის მუშაკები და განათლების სპეციალისტები, ერთობლივი მუშაობის შედეგად, აცხადებენ, რომ სწავლება 4 ოქტომბრიდან საკლასო ოთახებში უნდა გაგრძელდეს.

ვირუსი ახლო ხედით - ერთი დღე PCR ლაბორატორიაში

მარიამი, სალომე და ანანო PCR ტესტების ლაბორატორიაში მუშაობენ და ვირუსისგან 1 მილიმეტრი შუშა აშორებთ. ინფიცირების აღარ ეშინიათ - როცა შენს ხელში ათასობით ნიმუში გაივლის, ვირუსთან ურთიერთობა ერთგვარ მარათონად იქცევა. ლაბორატორია „გენომიქსის" მიკრობიოლოგები უკვე 9 თვეა, რაც კორონავირუსზე ტესტირებებს ატარებენ. მართალია, უშუალოდ ვირუსს მიკროსკოპის ქვეშ არ სწავლობენ, მაგრამ მისი „ხასიათი" კარგად გაიცნეს.

რა ვიცით დღემდე კორონავირუსზე? რა გზით წარმოიქმნება ახალი შტამები და როგორ „იჭერს" კოვიდს პისიარ ტესტი? - მოლეკულური ბიოლოგები ვირუსს ახლოდან გვაჩვენებენ.

რა „სურს" Sars-Cov-2-ს?

„Co - Corona (კორონა) Vi - Virus (ვირუსი) D - Disease (დაავადება) 19 - დაავადების აღმოჩენის წელი",

- გვიხსნის ვირუსის სახელს სალომე ღვინეფაძე, მიკრობიოლოგი. „ეს დაავადების სახელია, უშუალოდ გამომწვევ ვირუსს კი Sars-Cov-2 ჰქვია".

კორონავირუსები ვირუსის დიდი ოჯახია, რომლებიც წაწვეტებული ცილების „გვირგვინს" ატარებენ. ამ ცილებით კორონავირუსი უჯრედში აღწევს და სხვადასხვა დაავადებას იწვევს, მათ შორის გაციებასაც, მაგრამ ის კორონავირუსი, რომელსაც ახლა ვებრძვით, ნაკლებად შესწავლილია - ჯერ მისი წარმომავლობაც არ გვაქვს ბოლომდე გარკვეული და არც ის ვიცით, როდის დავიმორჩილებთ და გავასწრებთ ამ მარათონში.

„თავიდან იყო განხილვები, იქნებ სიცივემ ან სიცხემ გააქროს ეს ვირუსი. სიცხეს შეუძლია ქმედითობა დააკარგვინოს, მაგრამ არა იმდენად, რომ გავრცელება შეჩერდეს. მასპინძლის გარეშე ეს ვირუსი დიდხანს ვერ ცოცხლობს, ჰაერში და ზედაპირებზე 8 საათიდან რამდენიმე დღემდე, მაგრამ ზედაპირებიდან გადადების რისკი დიდი არ არის, უფრო ადამიანიდან ადამიანზე „დახტუნავს", - განმარტავს სალომე.

სპეციალისტები ვირუსს ფაქტობრივად სისწრაფეში ეჯიბრებიან - სანამ კოვიდს გავრცელებისთვის ახალ ბარიერებს უქმნიან, ვირუსი მრავლდება და იცვლება - მუტაციას განიცდის.

სინჯარების შემხედვარე, რთულია წარმოიდგინო რომ შენ წინ შეიძლება ამ წუთას მუტაციის პროცესი მიდიოდეს - შიგნით თითქოს არაფერია. სინამდვილეში ვირუსი მუდმივად გამრავლებისკენ მიისწრაფვის. მუტაცია გააზრებული ქმედება არ არის, ეს უფრო მექანიკური „გადაწერისას" - საკუთარი თავის ახალი ასლების შექმნისას დაგროვებული შეცდომებია. ეს ვირუსი არ „წყვეტს", რომ უფრო ძლიერი გახდეს, მუტაციამ შეიძლება პირიქით, დაასუსტოს კიდეც.

„სხვა კორონავირუსებისგან განსხვავებით, COVID-19-ის გამომწვევს შეუძლია, გადაწერისას ინფორმაცია "გადაამოწმოს" - ეს შემოწმების უნარი განაპირობებს, რომ გამრავლებისას მიღებული ასლები იქნება ორიგინალის მსგავსი. ამ თვისების გამო მეცნიერებს ეგონათ, რომ კორონა ნაკლებად საშიში იყო, არ მოხდებოდა ბევრი სხვადასხვა ვარიანტის წარმოშობა და დაავადება უფრო მარტივად დამარცხდებოდა. მაგრამ მუტაციების დაგროვება ნელ-ნელა მაინც მოხდა. მივიღეთ ვარიანტები, რომელთაგან ოთხი არის უფრო მწვავე [ვიდრე ორიგინალი]".

ჩვენ სწორედ იმ მუტაციის ზემოქმედებას განვიცდით, რომელიც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა. ოთხი ყველაზე ძლიერი ვარიანტი მაღალი ინფიცირების კერებში წარმოიშვა - რაც უფრო მეტია ინფიცირებული, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ კორონავირუსი განიცდის ისეთ მუტაციას, რამაც შესაძლებელია ახალ ვარიანტამდე მიგვიყვანოს.

ვირუსიც ევოლუციის კანონებს ემორჩილება - გადარჩება ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ვარიანტი. თავდაპირველი ვარიანტები, მაგალითად, ალფა შტამი ჯერ არ გამქრალა, მაგრამ დიდწილად გზა დაუთმო ინდოეთში წარმოშობილ B.1.617.2-ს, რომელიც ჩვენთვის დელტა შტამის სახელითაა ცნობილი.

ვაქცინა დელტას დაამარცხებს?

„მოდით, ვირუსის რნმ ძაფზე აცმული მძივებივით წარმოვიდგინოთ, ერთ-ერთი ასეთი მძივის შეცვლის შედეგად, ვირუსის ზედაპირზე განლაგებული სპაიკ-ცილა შეიცვალა", - ამბობს სალომე. ცილა, რომლითაც ვირუსი უჯრედში აღწევს, ამიტომ დელტა ვარიანტი 40%-ით უფრო გადამდებია ალფასთან შედარებით. დელტა მაშინ გაჩნდა, როცა ინფიცირების სტატისტიკა უკვე დაბლა მიდიოდა - ახლა ახალი შემთხვევების რაოდენობა კვლავ ზევით მიიწევს. ვაქცინაციის ტემპი მსოფლიოში ჯერჯერობით ვერ ეწევა ამ მძლავრი ვარიანტის უნარებს.

დელტა სულ რამდენიმე თვეა, რაც არსებობს, ამიტომ დარწმუნებით შეუძლებელია ვთქვათ, რომელი ვაქცინა რა პროცენტით ამცირებს ინფიცირების შანსს, მაგრამ ინფიცირების საერთო ტემპს ანელებს. რაც უფრო ნელა გადავა ვირუსი ერთი მასპინძლიდან მეორეზე, მით ნაკლებად განიცდის მუტაციას - ამისთვის არის საჭირო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი აიცრას.

„ვაქცინა გამოგვიმუშავებს იმუნიტეტს კოვიდის წინააღმდეგ და, საბოლოო ჯამში, თუ მოგვიწევს შეხება, ორგანიზმი უკვე მზადყოფნაში იქნება, მისთვის ნაცნობი იქნება ეს კოვიდი და მისი ზედაპირული მოლეკულები და, შესაბამისად, შეიძლება ადამიანი სულ არ დაინფიცირდეს ან უბრალოდ გადამდები არ იქნება", - განმარტავს სალომე. მისი თქმით, ვიღაცისთვის 1 დოზა ვაქცინაც შეიძლება საკმარისი იყოს, სხვები კი ორი დოზის მერეც ინფიცირდებიან, თუმცა მსუბუქი სიმპტომებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ვაქცინაცია ვირუსის გადადებასთან ბრძოლის მხოლოდ ერთი კომპონენტია. პირბადე, სოციალური დისტანცია და ტესტირება პრევენციის მნიშვნელოვანი მექანიზმებია. ჯანმოს ბოლო მონაცემებით, ქვეყნების ნახევარში მხოლოდ 10% არის სრულიად ვაქცინირებული, მეოთხედზე ნაკლებმა ქვეყანამ 40% აცრა, 70% კი მხოლოდ სამმა ქვეყანამ მოახერხა. ადამიანები არღვევენ უსაფრთხოების წესებს და ვირუსს ახალი მუტაციების გზას უხსნიან.

PCR როგორც ბრძოლის იარაღი

ვიღაც სამოგზაუროდ წავა, ვიღაცას კი სახლში იზოლაცია მოუწევს - განაჩენი კომპიუტერის ეკრანზე მრუდების სახით დაიხატება. მარიამ გაჩეჩილაძე ყველა ასეთი გრაფიკის უკან ადამიანებს ხედავს - მათ, ვინც ღელავს და სულმოუთქმელად ელოდება ლაბორატორიის პასუხს. მარიამი ამბობს, რომ ახლანდელ ეპიდვითარებაში წარმოუდგენელია ნიმუშების პარტია კოვიდდადებითი შემთხვევის გარეშე.

„ახლა 2-3-ჯერ არის გაზრდილი ნიმუშების რაოდენობა, პარტიაში კოვიდდადებითობის მაჩვენებელი უფრო მეტჯერაც გაიზარდა. ახლა წარმოუდგენელია, გვქონდეს პარტია, სადაც დადებითი ნიმუშები არ იქნება. დადებითი პასუხის შემთხვევაში [ტესტს] ვამეორებთ, რომ დარწმუნებულები ვიყოთ".

PCR ტესტის სიზუსტე 95% ტყუილად არაა - ეს მრავალსაფეხურიანი, რთული პროცესია, რომელსაც რამდენიმე კონტროლის მექანიზმი აქვს. Polymerase chain reaction - პოლიმერული ჯაჭვური რეაქციის მეთოდოლოგია ბევრი დაავადების დიაგნოსტიკაშია გამოცდილი. ამ მეთოდით შესაძლებელია, ვირუსის გენეტიკური კოდის მოლეკულა, ერთჯაჭვიანი რნმ, ორჯაჭვიან მოლეკულად, დნმ-ად გადავაქციოთ, მერე დნმ-ის კონკრეტული რეგიონი მილიარდჯერ გავამრავლოთ და ავაწყოთ „ჯაჭვი", რომელსაც აპარატი წაიკითხავს.

ამ პროცესს ანანო ცინცაბაძე ასე ხსნის: „პრაიმერები [სპეციალური ხსნარები] დნმ-ის „საწყისებია" - თავისებური კაუჭები, რომლებიც ნიმუშში არსებულ დნმ-ს უკავშირდება - ასე აეწყობა ჯაჭვი, რომელიც აპარატისთვის ხილული ხდება". ეს შრომატევადი და საყურადღებო პროცესია - ნაცხიდან კორონავირუსის გამოყოფიდან, საბოლო შედეგამდე 3 საათამდე გადის, ნიმუში კი ათობით და ასობითაა. ნიმუშების ექსტრაქცია, ფიზიოლოგიური ხსნარის დამატება, აპარატიდან აპარატში გადატანა - ლაბორანტებს შეცდომის უფლება არ აქვთ, ყველა მოძრაობა ზუსტი უნდა იყოს.

გარდა ამისა, ტესტს ორი კონტროლის მექანიზმიც აქვს - პოზიტიური და ნეგატიური. ყველა პარტიაში სპეციალურად ათავსებენ ისეთ ნიმუშს, რომელშიც ცარიელი ხსნარი ასხია, და ისეთს, რომელშიც დანამდვილებით არის კორონავირუსი. ეს მექანიზმები გარანტიაა, რომ აპარატმა სწორად იმუშავა და ნიმუშებიც არ დაბინძურებულა.

აპარატის მუშაობის დროს სპეციალურ პროგრამაში მრუდები ჩანს: „ნიმუშში რა კონცენტრაციით იყო ვირუსი, შეგვიძლია განვსაზღვროთ კომპიუტერში გრაფიკის სახით. რაც უფრო მალე გადაკვეთს მრუდი ზღვარს, მით უფრო მაღალია კონცენტრაცია ნიმუშში", - ამბობს ანანო.

სანამ აპარატი მუშაობს, ნიმუშების ახალი პარტია შემოდის, და ასე - მთელი დღე. PCR ლაბორატორიის მუშაობაც ერთგვარი მარათონია.

„აქამდეც მიმუშავია სხვადასხვა ლაბორატორიაში, მაგრამ აქ არის საერთოდ სხვა სპეციფიკა - ტექნიკას კი ვიცნობ, მაგრამ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა, გრაფიკი შეზღუდული. ჭამაც დამვიწყებია ხოლმე, გვიან საღამომდეც ვმუშაობთ. ვცდილობთ ადამიანების მდგომარეობაში შევიდეთ, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ", - ამბობს მარიამ გაჩეჩილაძე.

ზუსტი დიაგნოზი ვირუსის გავრცელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა. PCR ტესტს შეუძლია, **ვირუსი ადრეულ ეტაპზე დაინახოს, მაშინაც კი, როცა ნაცხში მცირე რაოდენობითაა. ეს ტექნოლოგია კონტაქტიდან მეხუთე დღეს, სიმპტომებიდან კი შემდეგსავე დღეს, ყველაზე ზუსტ შედეგს იძლევა.**

ჟურნალისტი ქალი ახალი რეალობის პირისპირ

რაჰილა ელენა ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის ქალ ჟურნალისტთაგან, რომლებიც კვლავ აგრძელებენ მუშაობას მას შემდეგ, რაც რადიკალურმა დაჯგუფებამ - თალიბანმა - კონტროლი მოიპოვა ავღანეთის დედაქალაქზე და სახლში დარჩენა უბრძანა ქალებს, რადგან მებრძოლები ჯერ არ არიან "გაწვრთნილები" საიმისოდ, რომ მათ პატივი სცენ.

ელენა ადგილობრივ მედიაში მუშაობს. ის ფსევდონიმს ხმაროს უსაფრთხოებისთვის, და რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ მისი სამომავლო გეგმები ჩაიშალა. ახლა ის "ახალი რეალობის წინაშე დგას".

რატომ გადაწყვიტეთ სამუშაოს დაბრუნებოდით საფრთხის მიუხედავად?

ელენა: ჩემი სამუშაო ადგილი ორი-სამი დღით დახურული იყო. 15 აგვისტოს, როცა თალიბანი შემოვიდა ქაბულში, თანამშრომლების ყოველდღიური კრების მიმდინარეობისას სასწრაფოდ მოგვიწია იქაურობის დატოვება. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემმა რედაქტორმა ტექსტური შეტყობინება გამომიგზავნა, რომ შეგვეძლო სამსახურში დაბრუნება. მე ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი, რომელიც სამსახურს დაუბრუნდა.

რამდენიმე მიზეზია, რატომაც დავბრუნდი.

პირველ რიგში, მე პიროვნება ვარ და ვერც ერთი მთავრობა, ან ხელისუფლება, ვერ მიიღებს ჩემს პირად, სასიცოცხლო გადაწყვეტილებას ჩემ მაგივრად. არ ვიცი, რა შედეგები მოჰყვება ჩემს გადაწყვეტილებას, მაგრამ ერთ დღეს იმის თქმა მაინც შემეძლება საკუთარი თავისთვის, რომ ყველა საფრთხის

მიუხედავად, მე ის გავაკეთე, რაც სწორად მიმაჩნდა.

მეორე მიზეზი ის იყო, რომ ავღანეთის მთავრობამ ფული დახარჯა ჩემს განათლებასა და მომზადებაში და ვთვლი, რომ საზოგადოების დამსახურებაა ის, რომ მე ვმუშაობდი.

ასევე ვგრძნობდი, რომ ჩემი, როგორც ჟურნალისტის, მოვალეობა იყო გავსულიყავი და მომეთხრო, რა ხდებოდა. ჟურნალისტის მოვალეობაა, გააშუქოს საზოგადოების პრობლემები, მთავრობის მცდარი ქმედებები და ხალხის პრობლემები. მე ვერ გადავწყვეტ ხალხის პრობლემებს, მაგრამ ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა, გავხდე მათი ხმა.

ფინანსური მიზეზიც ჰქონდა ჩემს სამსახურში დაბრუნებას. მე ყველაზე უფროსი შვილი ვარ და ოჯახი ჩემს ხელფასზეა დამოკიდებული.

რა ცვლილებების წინაშე დადექით სამსახურში მას შემდეგ, რაც ქაბულში თალიბანმა ჩაიგდო ხელში ძალაუფლება?

ელენა: ჩვენ სიტყვის თავისუფლება გვქონდა, მე თავისუფლად შემეძლო თემების არჩევა, თავისუფლად შემეძლო მთავრობის ან სხვების გაკრიტიკება და ჩემს რეპორტაჟებს ცენზურა არ ეხებოდა. ახლა სხვანაირად არის.

ახლა ავღანეთში ძალაუფლების ვაკუუმია და ჯერჯერობით ცხადი არ არის, კვლავ გვექნება თუ არა მსგავსი თავისუფლება. ჩვენ ვცდილობთ, ფრთხილად ვიყოთ ჩვენი რეპორტაჟების კეთებისას - დიდწილად ვართ დაკავებული თვითცენზურით.

მაგალითად, ორი დღის წინ სტატია მქონდა ახალი მთავრობის შექმნისა და ამასთან დაკავშირებით ხალხის ჩივილის შესახებ. ვფიქრობ, რომ უკიდურესად ფრთხილი ვიყავი და თვითცენზურა მოქმედებდა. მაგრამ ჩემმა რედაქტორმა გადააკეთა ჩემი ტექსტი - ბევრი ისეთი ნაწილი ამოიღო, რომლებზეც თქვა, სახიფათოაო. ეს ძირითადად იყო ხალხის სიტყვები, რომლებიც თავიანთ წუხილს გვიზიარებდნენ. მე ვუთხარი ჩემს თავს, რომ ახალი რეალობის წინაშე დავდექი სამსახურში - უკვე ვეღარ ვიტყვი ან დავწერ იმას, რაც მსურს.

როცა ხალხი თალიბანის შესახებ ჩივის ან არასასურველ კომენტარს აკეთებს თალიბანზე, მე არ შემიძლია ამის გამოქვეყნება ჩემს რეპორტაჟში, რადგან მეშინია, რომ არა მხოლოდ თავს ჩავიგდებ საფრთხეში, არამედ ჩემს კოლეგებსაც. ჩვენი გამოცემა შეიძლება საერთოდ დაიხუროს.

როგორ ხედავთ თქვენს მომავალს, როგორც ქალი ჟურნალისტი, რომელიც ქაბულში მუშაობს თალიბანის მმართველობის ქვეშ?

ელენა: ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ყოველდღე ვუსვამ საკუთარ თავს ბოლო ორი კვირის განმავლობაში და მასზე პასუხი არ მაქვს. იგივე შეკითხვა თუნდაც სამი საათით ადრე რომ დაგესვათ, სანამ თალიბანი შემოვიდოდა ქაბულში, ჩემი სამომავლო გეგმებს ჩამოგითვლიდით.

მე მქონდა დეტალური გეგმები და სათადარიგო გეგმები ჩემი ცხოვრების შემდეგი, მინიმუმ, 30 წლისთვის. მქონდა რვეული სხვადასხვა პირადი პროექტების სიით და ჩანაწერებით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განმეხორციელებინა ისინი. იმ დღეს, როცა ოფისი დავტოვეთ 15 აგვისტოს, როცა არ ვიცოდით, რა მოხდებოდა, ამის შემდეგ, ის რვეული გავანადგურე რამდენიმე სხვა დოკუმენტთან ერთად.

ჩემი ოცნებებიც მქონდა. დაგეგმილი მქონდა მაგისტრატურის დაწყება მომავალ ორ წელიწადში. ვემზადებოდი ამერიკის „ფულბრაიტის" სტიპენდიის ტესტებისთვის.

ასევე მუშაობაც მინდოდა - როგორც სტაჟიორს - უცხოური საინფორმაციო სააგენტოსთვის და შემდეგ ეს ცოდნა ჩემს ქვეყანაში ჩამომეტანა. ვოცნებობდი, უფრო შორეულ მომავალში, რაღაც ხანს მემუშავა უცხოეთის ამბების კორესპონდენტად საზღვარგარეთ.

სამსახურში ფეხით დავდიოდი მიუხედავად იმისა, რომ ქაბული, წინა მთავრობისას, არ იყო უსაფრთხო ადგილი იმისთვის, რომ ახალგაზრდა ქალს მარტო ევლო. მაგრამ მე მიყვარდა, ფეხით რომ დავდიოდი და თან ჩემს მომავალზე ვფიქრობდი. ახლა კი ვშიშობ, რომ ჩემი გეგმები ჩაშლილია და ჩემი ოცნებები დამსხვრეული. არ ვიცი, რა მელის მომავალში. თალიბანის მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებებს ჩემ მაგივრად. ეს მტკივნეულია ჩემთვის.

ამ ეტაპზე, თალიბანი ამბობს, რომ ქალები დაბრუნდებიან სამსახურებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იმუშავებენ. მე არ ვიცი, შეასრულებენ თუ არა ისინი თავიანთ დაპირებებს და შევძლებ მუშაობის გაგრძელებას, თუ მომკლავენ ან დამაპატიმრებენ.

როგორი განწყობილებაა ქაბულის ქუჩებში თქვენი თაობის ახალგაზრდებს შორის?

ელენა: ხალხი ნელ-ნელა უბრუნდება სამუშაოს. რამდენიმე დღით ქაბული აჩრდილების ქალაქს დაემსგავსა. ქუჩები ცარიელი იყო.ახლა მეტი ხალხია გარეთ, თუმცა ქალაქი ისეთი ცოცხალი, მანამდე რომ იყო, აღარ არის.მე ყოველდღე მიწევს ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში გავლა და ვხედავ, რომ ქაბული კაცების ქალაქი გახდა. ბევრად ნაკლები ქალი გამოდის გარეთ და დადის სამსახურში.

ქალების უმეტესობა შავი ჰიჯაბითაა, ან ბურკა აცვია. კაცებმაც შეიცვალეს ჩაცმულობა: ისინი ტრადიციულ ავღანურ სამოსში გამოწყობილი დადიან, თალიბანს როგორც მოსწონს.

ჩვენი თავისუფლების შეზღუდვა პრობლემის ერთი მხარეა. ახალგაზრდაცა და ხანდაზმულიც შეშფოთებულია ფინანსური მდგომარეობის გამო. ხალხი ღარიბია და ბევრს არ აქვს მუდმივი სამუშაო. მათ მუდამ სამუშაოს ძებნა უწევთ და დღიური ჯამაგირით მხოლოდ ლუკმაპურს თუ ყიდულობენ. შემდეგ დღეს ყველაფერი თავიდან იწყება.

ავღანეთი ბოლო ოცი წელიწადია, უცხოური დახმარებით არსებობდა, რაც შეიძლება დასრულდეს. თუ ეს შეწყდა, ისიც კი არ ვიცით, სამუშაოს უფლება რომც გვქონდეს, გადაგვიხდიან თუ არა. ვშიშობთ, რომ შიმშილობა შეიძლება დაიწყოს.

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

ზ ი ნ ა ძ ე ლ უ რ ი

დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი ექიმის, თერაპიული განყოფილების უფროსის , ქალბატონ ზინა ძელურის გარდაცვალებას. „ზინა ექიმი 60 წელზე მეტხანს მოღვაწეობდა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. იგი იყო გამორჩეული პროფესიონალი და საქმის ერთგული. მან წლების მანძილზე უამრავი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს ხელიდან. მის თვალწინ დაოსტატდნენ და მისი სკოლა გაიარეს ექიმ- თერაპევტთა რამდენიმე თაობამ. მის ღვაწლზე უსასრულოდ შემიძლია საუბარი. გამორჩეულად ჰუმანურს და შრომისმოყვარეს, სიბერე გაუმწარდა საყვარელი შვილიშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო, მაგრამ წამით არ მოდუნებულა პროფესიულად და სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც პაციენტების მკურნალობას შეალია... ძნელია, ასეთ უდიდეს დანაკარგთან შეგუება, ძალიან გაუჭირდება ჩვენი ჯანდაცვის სისტემას მის გარეშე ცხოვრების გაგრძელება, თუმცა, მან იმდენი რამ გვასწავლა და იმდენი სიკეთე დაგვიტოვა, რომ მის ნაკვალევზე სიარულს ამაყად გავაგრძელებთ"-ამბობს „შირაქთან"საუბარში რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ხათუნა აგლაძე და კიდევ ერთხელ, კოლექტივის სახელით, მწუხარებას გამოთქვამს რაიონის ღვაწლმოსილი ექიმის და უდიდესი პიროვნების, ქალბატონ ზინა ძელურის გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ი. ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ნათელა გელაშვილს დის და ნანა ჭიჭინაძეს დეიდაშვილის

ეთერ გელაშვილის

გარდაცვალების გამო.

დაიკრძალა 28.08 ქ. რუსთავში

ქ.წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1964 წლის XI-ა კლასის კურსდამთავრებულების სახელით: ციცინო ბაცაცაშვილი, ვიოლა რობიტაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ეთერ ჯანიკაშვილი, თამარ მეხრიშვილი

დიდი მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

ვასიკო შოშიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

დაიკრძალა 28 აგვისტოს თბილისში.

ლილი ქავთარაძე, ეთერ და დათო გაბაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კარის მეზობლის

თამაზ ლაშქარაშვილის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მეუღლე თამარს, შვილებს-გიორგი და მარიამს, დებს-ცარო და მაყვალა ლაშქარაშვილებს.

სოფელი არხილოსკალო.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლის თანამშრომლები იუწყებიან ბენეფიციარის

შორენა წოწოლაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ბიძაშვილები: ნაირა, ციხელო, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა გორაშვილები, თამარ პოპიაშვილი, ლეილა სულაშვილი ოჯახებით იუწყებიან მამიდაშვილის

ვეფხია ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ნატო გელაშვილს, შვილებისგურამის და გაგას, დის-ლია ტოკლიკიშვილის ოჯახებს.

კუნძულ კრეტაზე უძველესი ქართული სახელმწიფოს არსებობა დადასტურდა!

“კრეტის უძველესი დამწერლობა ნამდვილად არის ქართული ანბანის ფესვები. ეს ძირი გაიშიფრა!” ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლა არასოდეს ყოფილა იოლი და, ალბათ, არც მომავალში იქნება. კვლავ არაერთი იმპერია გამოჩნდება ჰორიზონტზე, რომელიც მცირერიცხოვანი ერის გაქრობას მოინდომებს, თუმცა რადგან ქართველებმა სახელმწიფოებრიობის გადარჩენაც და იდენტობის შენარჩუნებაც აქამდე შევძელით, მომავალშიც შევძლებთ. ეს იმ ისტორიულმა როლმაც განაპირობა, რომელსაც კაცობრიობის წინაშე ვასრულებდით და კვლავ უნდა შევასრულოთ. ცნობილმა მეცნიერმა, ლინგვისტმა **და *მკვლევარმა*** *გია კვაშილავამ* არაერთი სამეცნიერო შრომა მიუძღვნა უძველესი მოდგმის ამ საკაცობრიო ღვაწლს. მისი ბოლო კვლევები კუნძულ კრეტაზე დაახლოებით 4000 წლის წინანდელი ქართველური (მინოსური) ცივილიზაციის დადასტურებას ეხება. ამ ცივილიზაციამ უდიდესი როლი შეასრულა ევროპა-აზიის ქვეყნების ურთიერთობაში. მის სათავეში, შესაძლოა, კოლხეთის მითური მეფის, აიეტის და, პასიფაე ვივარაუდოთ. სწორედ ის იყო კრეტის მეფის, სამართლიანობით ცნობილი მინოსის ცოლი. ბოლო, შთამბეჭდავი კვალი კი კაცობრიობის ისტორიაში ქართველმა ქალმა გარდაცვალების შემდეგ დატოვა. სწორედ ამ უცნობი ქართველი ქალის თავის ქალის პროპორციით მოხიბვლის გამო უწოდა გერმანელმა მეცნიერმა იოაჰან ბლუმენბახმა მთელ თეთრკანიან რასას “კავკაზუსი”. ამ ორ, ერთმანეთისგან ხანგრძლივი დროით დაშორებულ თემას სწორედ საქართველო აერთიანებს. ორივეს შესწავლას, რომელშიც ქართველი ქალის გონიერება და სილამაზე თავის როლს ასრულებდა, გია კვაშილავამ წლები მიუძღვნა.*



„აღსანიშნავია, რომ სულ უფრო იკვეთება კაცობრიობის წინაშე უძველესი ქართველური ცივილიზაციის როლი. ეს მსოფლიოში გაბნეული იმ ისტორიული წყაროების დამსახურებაა, რომელთა შესწავლის შესაძლებლობაც ბოლო დროს მოგვეცა. უამრავი ქვეყნის ისტორიკოსი თუ ფილოსოფოსი წერს ქართველების შესახებ იმას, რაზეც აქამდე არაფერი ვიცოდით. ამას ემატება დნმ-კვლევები წინარე ქართველური ტომების მიგრაციის შესახებ, რისი ამსახველი რუკაც ბოლო წლებში ინგლისელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს. ამ რუკაზე 61000-25000 წლის წინანდელი კაცობრიობა სწორედ საქართველოს დღევანდელი ტერიტორიიდან მიემართება ევროპა-აზია-ამერიკისაკენ. ჩვენი ტერიტორიიდან მიგრაციის სამი ხაზი ევროპისკენ, ორი აზიისაკენ მიემართება, უკიდურესი აზიიდან კი ჩრდილოეთ ამერიკასა და სამხრეთ ამერიკაში გადადის. ეს ფაქტები, რომლებიც დღეს ბევრ ქართველს დაუჯერებლად ეჩვენება და ცოტა არ იყოს, ცინიკურადაც უყურებს, ჩვენზე ადრე აღიარეს უცხოელმა მეცნიერებმა, ჩვენთვის კი მათი შესწავლა იმიტომ არის აუცილებელი, რომ რეალური, ფაქტობრივი წარსულის გამოკვლევით გავითავისებთ საკუთარ როლს დღევანდელ მსოფლიოში, რაც არ ვიცით და რაშიც ხელწამოსაკრავი არ უნდა ვიყოთ.

რაც შეეხება კრეტას, აქ 2008 წლიდან მოყოლებული, ოთხი ექსპედიცია ჩავატარეთ, მაგრამ კრეტაზე ქართველური ცივილიზაციის დადასტურებისთვის არა მხოლოდ კრეტის არქეოლოგია გამოვიყენეთ, არამედ მისი უძველესი წარწერები და დავადასტურეთ, რომ სწორედ აქ არის ის უძველესი ქართული დამწერლობა, რომელიც ჩვენს მშვენიერ ქართულ ანბანს დაახლოებით 4000 წლით უსწრებდა.

ანუ უკვე ნაპოვნია, რასაც ვეძებდით? ქართული ანბანის უძველესი ძირი?!

,,კრეტის ხაზოვანი (უძველესი ქართველური) დამწერლობა ნამდვილად არის თანამედროვე ქართული ანბანის ფესვები, რის შესახებ მოხსენება წარვადგინე მსოფლიოს უამრავ სიმპოზიუმსა და კონფერენციაზე. ნაშრომები დაიბეჭდა ლონდონის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ათენის, ვილნიუსის, ბერლინის და ა.შ. სამეცნიერო ჟურნალებში... კრეტაზე ქართველური სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ ამ გზით როდი დავადასტურეთ. ჩვენ გამოვიყენეთ ევროპა-აზიის ძირითადი ქვეყნების - ამერიკის, ჩინეთის, რუსეთის მუზეუმებში დაცული ასლები. დღეს ამ თემაზე უკვე 100-მდე მეცნიერული ნაშრომია ნარდგენილი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო კონფერენციებზე....,,

ქართველური ცივილიზაცია კრეტაზე!..

მართლაც ასეა და ამ სახელმწიფოს არსებობას ამტკიცებს ყველაფერი - თუნდაც კრეტის მუზეუმებში დაცული ქვევრები, რომელთაგან დაახლოებით 4000 წლის წინანდელ 1000-ლიტრიან ჭურს აქვს უძველესი ქართული წარწერა: “ვინ 32, დიდი კასე ა სამუნე ასე ათაინია არეპირინა ტიტიკუ”, რაც დღევანდელი ქართულით ასე იშიფრება: “ღვინოს, 32 დიდ ჭურჭელ სასმელს, ახლა ათენა მიწისას (იგულისხმება ქალღმერთი ათენა, რომელმაც ადამიანებს მიწაზე შრომა ასწავლა...) შეჰპირდა ტიტიკუ”.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ “ტიტიკუ” დღევანდელი ქართულით სახელი “ტიტიკოა”?

რასაკვირველია, შეგიძლიათ, თუმცა მე უფრო კრეტის ქართველური ცივილიზაციის შექმნილი, დაახლოებით 3500 წლის ფრესკები მაოცებს, რომლებიც კრეტის უძლიერესმა მიწისძვრამ დაფარა ქრისტემდე 1500 წელს და მანვე გადაარჩინა გაქრობას. დღეს ეს ფრესკები აღდგენილია და მათზე გამოსახული თუნდაც ქალბატონები ისე ჰგვანან თანამედროვე ქართველ ქალბატონებს, რომ ხშირად წარმოსახვით ერთმანეთს ქუჩაშიც კი ვადარებ და უდიდეს მსგავსებას ვპოულობ, რაც ემოციურად ჩემზე ძალიან მოქმედებს.

მითების თანახმად, სწორედ კრეტის მეფის, მინოსის, მეუღლე იყო კოლხეთის მეფე აიეტის და, მედეას მამიდა პასიფაე...

დიახ, მითების თანახმად. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა კრეტის შესწავლა დაიწყეს, პასიფაეს და მინოსის კვალი რეალურად დადასტურდა, კერძოდ, როდესაც ლეგენდარულმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა კრეტას პირველი არქეოლოგიური ბარი დაჰკრა, ის სწორედ მინოსისა და პასიფაეს სამართლიანობის ტახტს მოხვდა, რომლის ასლი ახლა ჰააგის სასამართლოში ინახება. მეფე მინოსი, მითების თანახმად, სწორედ სამართლიანობის სიმბოლო იყო. რაც შეეხება პასიფაეს, ქალის როლი კრეტაზე ძალიან დიდი იყო. ისინი ყველაზე მნიშვნელოვან რელიგიურ რიტუალებს ასრულებდნენ, შესაბამისად, სამართლიანობის ტახტზე პასიფაეც უნდა დაბრძანებულიყო. მე მქონდა პატივი, ამ ტახტის ასლზე დავმჯდარიყავი და ეს უჩვეულო სიმსუბუქის განცდა იყო. კრეტაზე აღმოჩენილი სამართლიანობის ტახტი, ჩემი აზრით, სწორედ ქალის უნდა იყოს და არა - კაცის.

ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პასიფაე იყო პირველი ქართველი ქალი, რომელიც კაცობრიობას სამართლიანობის ტახტით შემორჩა... აქვე აუცილებლად უნდა გკითხოთ იმ უცნობ ქართველ ქალზეც, რომლის თავის ქალის ფორმის გამოც მეცნიერებმა მთელ ევროპულ რასას “კავკაზუსი” უწოდეს...

დიახ, ასეა. მის ვინაობასაც მართლაც წლების განმავლობაში ვიკვლევდი და საბოლოოდ გეტინგენის მუზეუმში ამ ბედკრული ულამაზესი ქალის თავის ქალის ნახვითა და შეხებით დავასრულე. ამ მომენტმა ისე შემძრა, ახლაც არ მავიწყდება. ამ ისტორიას მას შემდეგ ვსწავლობდი, რაც სტუდენტობაში წავიკითხე გერმანელი ფილოსოფოსის, ჰეგელის ფრაზა: “კაცობრიობის განვითარება კავკასიიდან იწყება”.” აი, ამ ფრაზით მივადექი გერმანელი ანთროპოლოგის, ბლუმენბახისა და იმ ქართველი ქალის თავის ქალას, რომლის გამოც ამ მეცნიერმა ყველა თეთრკანიანს “კავკაზუსი” უწოდა. ერთხელ პროფესორმა რამინ რამიშვილმა მითხრა, შესაძლოა, ამ ისტორიას სულ ტყუილად იკვლევ, რადგან თავის ქალა სულაც აღარ არსებობს და გერმანიის დაბომბვის დროს განადგურდაო, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ აღმოჩნდა.

ამ ქალის ისტორია წარმოშობით გერმანელი რუსეთში მცხოვრები მეცნიერების ნაშრომებში აღმოვაჩინე. გაირკვა, რომ რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომის დროს, როდესაც რუსეთმა თურქეთს ყირიმის სახანო წაართვა და ყველა ქრისტიანი ტყვე გაათავისუფლა, ტყვედ გატაცებული ეს ულამაზესი ქართველი ქალი იქაურ ჰარამხანაში იპოვეს, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოდან გატაცებული, რადგან მალარია აღმოაჩნდა გადატანილი... ქალი ისეთი ლამაზი იყო, რომ რუსმა უმაღლესმა სარდლობამ არ დატოვა და მოსკოვში წაიყვანა, სადაც უკვე დაავადებული 8 თვეში გარდაიცვალა. ეს ქართველი ქალი დიდგვაროვანი იყო და ეს იმითაც ჩანს, რომ მისი დაავადების დასადგენად უმაღლესი რანგის ექიმი, რუსეთში დაბადებული გერმანელი იოჰან ჰილტებრანდტი მიიწვიეს. სწორედ მან დაადასტურა, რომ ეს მშვენიერი არსება ქალური დაავადებით გარდაიცვალა, ექიმმა კი გარდაცვლილის თავის ქალა გამოითხოვა. მას გადანყვეტილი ჰქონდა, ქალა სამედიცინო კვლევებისთვის გამოეყენებინა. წერდა კიდეც, ქალას რუდუნებით ვინახავ სამეცნიერო სამუშაოებისთვისო. შემდეგ ის სანქტ-პეტერბურგში დაუკავშირდა ასევე ცნობილ გერმანელ ექიმს, ბარონ გეორგ თომას ფონ აშს, რომელმაც თავის ქალა თავის პროფესორ იოჰან ბლუმენბახს გაუგზავნა გერმანიაში. ბლუმენბახი ისე გააოცა ქართველი ქალის თავის პროპორციულობამ, რომ როგორც გეტინგენის უნივერსიტეტში გვითხრეს, ღამით სანთლით შეჰყურებდა, რათა მისი სილამაზე ცოცხლად წარმოედგინაო. წერდა კიდეც აღფრთოვანებული, - სამხრეთ კავკასიაში მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხალხი, ქართველები ცხოვრობენო. თეთრკანიან რასასაც სწორედ ამ ქალის პროპორციულობის გამო დაარქვა “კავკაზუსი”. ეს სახელი ყველა თეთრკანიანის აღმნიშვნელად იქცა და ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით - ამერიკაში, დღესაც ასეა. მაგალითად, ბარაქ ობამას დედას, რომელიც თეთრკანიანი იყო, რასის აღსანიშნავად დოკუმენტაციაში სწორედ “კავკაზუსი” უწერია. დოქტორმა მიხაილ შულცმა, რომელმაც თავის ქალა გეტინგენის უნივერსიტეტში წარმოგვიდგინა, მითხრა, პირველი ქართველი ხარ, რომელმაც ეს ქალა 230 წლის შემდეგ ახლოს ნახა, უფლება გაქვს, ხელითაც შეეხო, მაგრამ საუბრისთვის მხოლოდ ხუთი წუთი მაქვსო. ძალიან ემოციურად მახსოვს ის დღე და ისიც, რომ შემდეგ პატივცემულმა დოქტორმა საუბრისთვის 5 წუთი კი არა, 2 საათი დამითმო. საქმე ის გახლავთ, რომ მე მათემატიკოსი ვარ და მაშინვე გამახსენდა თეთრი, კავკასიური რასის სახის კუთხის 90%-იანი დახრილობის ამბავი, რომელიც ბლუმენბახმა და სხვა ანთროპოლოგებმა გაზომეს. ეს კუთხე სახეზე გავლებული ორი ხაზით განისაზღვრება, ხაზები, პირობითად, გამოდის, ერთი - ყურის გარეგანი არხიდან ცხვირის ძგიდემდე, მეორე კი - შუბლის შუა ნაწილიდან ასევე ცხვირის ძგიდემდე და შეერთების ადგილას ქმნის 90%-იან კუთხეს. თუმცა ამ ამბის ხსენება მე-20 საუკუნის გერმანიაში იმ უმძიმესი მოვლენის გამო იყო აკრძალული, რომელსაც ფაშიზმი ერქვა. ადოლფ ჰიტლერი ადამიანებს სწორედ ამ კუთხით განასხვავებდა და ხვრეტდა.

ამის მსგავსად უამრავი უსახელო მოვლენა თუ პიროვნება შეიძლება აღმოჩნდეს ქართველური ცივილიზაციის ისტორიაში, რომელთა შესწავლა უნდა შევძლოთ დოკუმენტაციებითა და ფაქტებით. ეს დღევანდელ მსოფლიოში ჩვენი როლის გათავისებასა და შენარჩუნებაში შეგვიწყობს ხელს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ულოცავენ!

გულნარა ღორაშვილს!

ჩვენო ძვირფასო, უფლის მადლით და წყალობით იმასაც მოვესწარით, რომ შენ დიდი ბებია გახდი და ბედნიერი ხარ, რადგან შენი პირველი სიხარული, პირველი შვილიშვილი, შენი გაზრდილი და ამაგდადებული ნინიკო დედა გახდა. პატარა ნენსის დაბადებას ვულოცავთ მის მშობლებს ნინო შანშაშვილს და თენგო გაგალიშვილს, მის პაპა-ბებიას- მაია გეგიაშვილს და გოგიტა შანშაშვილს. გაიხარონ და იყვნენ ბედნიერები, აკვანთა სიმრავლე დაჰბედებოდეთ. გვიხარია, რომ შენი დედისერთა ვაჟი დიდი ოჯახის მამაა- სამი შვილი ჰყავს და შვილიშვილების ტალღაც დაიძრა. ეგ ერთი და სხვაც მრავალი. უფალი გფარავდეთ და გეწეოდეთ!

სიყვარულით,
ნაირა, ციხელო, ანგელინა, მანანა, თამილა, თამარი და ღეილა ოჯახებით.

ყალბი კოვიდპასპორტების დამზადების ფაქტზე 7 პირია დაკავებული

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის დამზადება - გასაღების ფაქტზე 7 პირი დააკავეს.

ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დგინდება, რომ აღნიშნული პირებიდან ოთხმა მათგანმა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ კონკრეტული ვაქცინის ყალბი კოვიდპასპორტები დაამზადეს.

“ბრალდებულმა, 350 ევროს სანაცვლოდ შემდგომი გამოყენებისათვის, საქართველოს მოქალაქეს დაუმზადა და გადასცა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო „ფაიზერის“ ვაქცინით აცრის დამადასტურებელი ყალბი საბუთი, ხოლო სამმა პირმა 400 ლარის სანაცვლოდ შემდგომი გამოყენებისათვის, საქართველოს მოქალაქეს დაუმზადა და გადასცა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო „სინოფარმის“ ვაქცინით აცრის დამადასტურებელი ყალბი საბუთი, რა დროსაც მოხდა მათი დაკავება“- აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აღნიშნულ საქმეზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 06.09		სამშაბათი 07.09		ოთხშაბათი 08.09		ხუთშაბათი 09.09		პარასკევი 10.09		შაბათი 11.09		კვირა 12.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27 °	17 °	27 °	18 °	26 °	17 °	27 °	14°	28°	16 °	27 °	15 °	28 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.